ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საბურთალოს მე-6 ოლქის მაჟორიტარის, ვახტანგ შაქარიშვილის ანგარიში

თბილისი
2019
ნოემბერი

სარჩევი

შესავალი 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა 4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა 5

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია 5

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 8

ფრაქციული საქმიანობა 11

ინიციატივა, შეხვედრები, ბრიფინგები, პრობლემური საკითხები და სხვა აქტივობები 12

საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის მოსახლეობასთან კომუნიკაცია 20

საბურთალოს მე-6 ოლქის ინფრასტრუქტურული საკითხები 22

საბურთალოს მე-6 ოლქის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები 22

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა 23

მომავალი სამოქმედო გეგმა 26

შესავალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს თვითმმართველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, კონტროლს უწევს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი სტრუქტურების საქმიანობას, მონაწილეობს დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში. საკრებულო წარმოადგენს პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოს და პასუხისმგებელია პრიორიტეტების სწორად განაწილებაზე.

საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო 25 ოლქის მიხედვით.

2017 წლის 14 ნოემბრიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის წევრი, საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა 57.25% - მა (10556) დამიჭირა მხარი. საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის ტერიტორია დაახლოებით 310 ჰა-ს, ხოლო ამომრჩევლების რაოდენობა 41 886-ს შეადგენს.

ჩემს წინაშე დგას ორი ტიპის პასუხისმგებლობა: პირველი, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი წევრი, პასუხისმგებელი ვარ საქალაქო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებზე (სოციალურ - ეკონომიკური, ურბანული, სატრანსპორტო და ა.შ.); მეორე, როგორც საბურთალოს N6 ოლქის არჩეული მაჟორიტარი - ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებულ

პრობლემებზე. სწორედ ამ პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე მივყვები გეგმას რომელიც ჩემი უფლებამოსილების ოთხწლიანი პერიოდისთვის დავსახე.

ჩემი მუშაობა ეფუძნება ერთ მთავარ პრინციპს, საზოგადოების მაქსიმალური მონაწილეობის უზრუნველყოფა მმართველობით პროცესში და მათი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღება.

მოგეხსენებათ, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს სახელით ვმონაწილეობდი, რადგანაც იმ ეტაპისთვის ვიზიარებდი და ვეთანხმებოდი, როგორც აღნიშნული პოლიტიკური გუნდის მიერ წარმოებულ პოლიტიკას ეროვნული მასშტაბით, ასევე იმ პროგრამას რომელიც არდგილობრივი არჩევნების კამპანიის დროს იქნა წარდგენილი.

დროთა განმავლობაში ჩნდებოდა უთანხმოება ჩვენი ქალაქისთვის და მისი მაცხოვრებლებისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისად ვაფიქსირებდი ჩემს მოსაზრებებს და პოზიციებს როგორც საჯაროდ ისე პოლიტიკური გუნდის შიგნით. ეს რათქმაუნდა ნორმალური პროცესი იქნებოდა, იმ შემთხვევაში თუ მოხდებოდა ჩემი მოსაზრებების გათვალისწინება ან ადეკვატური საწინააღმდეგო არგუმენტების წარმოდგენა, მერიის აღმასრულებელი თანამდებობის პირების და სხვა გადაწყვეტილების მიმღები ადამინების მხრიდან, მაგრამ სამწუხაროდ ხდებოდა ჩემი პოზიციების იგნორირება, მიუხედავად იმისა რომ მე ვმოქმედებდი ქალაქის და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამ ყველაფერს თან დაერთო ქვეყანაში განვითარებული სხვა პოლიტიკურ მოვლენები - სააკაშვილ-ადეიშვილის ჯალათი მოსამართლეების უვადოდ არჩევის პროცესი; „ქართული ოცნების“ რადიკალური აცდენა საზოგადოების უდიდესი ნაწილის გამაერთიანებელი ღირებულებებისგან; ხელისუფლების მხრიდან დაშვებული გაუმართლებელი შეცდომები მართვაში, საკადრო პოლიტიკაში და ა.შ. სწორედ ამიტომ 2019 წლის 10 აპრილს დავტოვე „ქართული ოცნება“, ფრაქციის თავმჯდომარის

მოადგილის პოსტი და დღემდე საკრებულოში საქმიანობას ვაგრძელებ როგორც დამოუკიდებელი წევრი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

როგორც საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი მონაწილეობა მივიღე გასულ წელს ჩატარებულ ყველა სხდომაში, თითოეულ სხდომაზე მქონდა პოლიტიკური განცხადებები, ასევე ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციებს განსახილველ საკითხებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღარ წარმოვადგენ უმრავლესობას მხარს ვუჭერ ყველა საკითხს რომელიც მიმაჩნია რომ სასარგებლო იქნება ჩემი ქალაქისთვის და მისი მაცხოვრებლებისათვის. ასევე ვცდილობ ჩემი მანდატის ეფექტურად გამოყენებას რათა შევეწინააღმდეგო ქალაქისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს - როგორიც არის ქალაქმშენებლობით პრინციპებთან და მოსახლეობის ინტერესებთან შეუსაბამო სამშენებლო ნებართვების გაცემა; სავარაუდო კორუფციული გარიგების შემცველი მიწის მონაცვლების საკითხები; ბიუჯეტის არამიზნობრივი და არაეფექტური ხარჯვა; პრივილეგიების მინიჭება მეგობრული და პოლიტიკური ნიშნით; მერიის არაეფექტური მართვის მოდელი და ა.შ.

2018 წლის 1 ნოემბრიდან - 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული საკრებულოს 6 სხდომიდან, მონაწილეობა მივიღე 5 სხდომაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან მიღებულ იქნა: 17 დადგენილება და 75 განკარგულება.

2019 წლის 1 იანვრიდან - დღემდე ჩატარებული საკრებულოს 12 სხდომიდან, მონაწილეობა მივიღე 12 სხდომაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან მიღებულ იქნა: 81 დადგენილება და 359 განკარგულება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის საქმიანობა მიზნად ისახავს თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას; ქალაქის სწორი ურბანული განვითარების უზრუნველყოფას; საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარებისთვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მხარდაჭერას; პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების ეფექტურად დაგეგმვას.

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მუშაობა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირ აისახება ქალაქის ურბანულ ცხოვრებაზე. წლების განმავლობაში უსტრატეგიო და უპრინციპო მმართველობამ თბილისი არაერთი მიმართულებით მნიშვნელოვნად დააზარალა. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულის ნათელი გამოხატულებაა ჩვენი კომისიის მიერ დღეს არსებული განსახილველი საკითხები, როდესაც ჩვენ გვიწევს დაშვებული შეცდომების გამოსწორება, რაც დღეს ქალაქს საკმაოდ ძვირი უჯდება.

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიაზე განხილულ იქნა რამდენიმე მეტად პრობლემური ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი (გრგ,აგდ), რომლებიც კრიტიკულ წინააღმდეგობაში მოდის ჩემს მიერ ზემოთ ნახსენებ საარჩევნო დაპირებებთან, რომლებსაც მერი და ქართული ოცნების გუნდი გასცემდა.

- რაგბის კავშირი - ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის დუბლ საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინატმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის, (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.197) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცემა. შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-მა მოითხოვა საპროექტო ტერიტორიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 15 მაისს N906 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გაუქმება, რომლის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=4,6. ახალი საპროექტო წინადადებით მოთხოვნილი პარამეტრები: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - საცხოვრებელი ფუნქცია 85%, კომერციული 15% კოეფიციენტის გადამეტებით კ2-3.5.

  აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა საქართველოს რაგბის კავშირის საკუთრებას, რომელიც მას სარაგბო ინფრასტრუქტურის ასაშენებლად გადაეცა, თუმცა მერიის გადაწყვეტილებით აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი, მასშტაბური, მრავალფუნქციური შენობების განთავსება იგეგმება.

  აღნიშნული ტერიტორია მისი მდებარეობიდან და ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, უნდა განვითარებულიყო მხოლოდ სპორტულ-რეკრეაციული დანიშნულებით, შესაბამისი რეკომენდაციები გააჩნდათ საპარლამენტო მაჟორიტარებსაც. მიუხედავად ამისა, ადგილზე იგეგმება მრავალსართულიანი პროექტის განხორციელება, რომელიც არ შეესაბამება მუნიციპალიტეტის მხრიდან გაჟღერებულ დაპირებებს და ქალაქგეგმარებით პრინციპებს.
- „ ქ. თბილისში, გლდანში, ქერჩის ქუჩა N6 და N6ა-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.168; 01.11.05.029.167; 01.11.05.029.212 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონების თაობაზე“ განკარგულება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის ჩატარებულ 20 სხდომაში, განვიხილეთ/შევისწავლეთ

დღის წესრიგით გათვალისწინებული 224 საკითხი. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 48 ცვლილება და ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 1 ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება. ასევე, საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ახალი გენერალური გეგმა, სადაც ასევე განხორციელდა 101 ზონალური ცვლილება და დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 8 ზონალური ცვლილება.



კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 53 პროექტი, აქედან დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 1 პროექტი.



ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უშუალოდ მონაწილეობს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და პრიორიტეტების განაწილების პროცესში, ასევე მონიტორინგს უწევს ბიუჯეტის გეგმიურ შესრულებას. კომისია პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აქტივების რაციონალურ და ეფექტურ განკარგვაზე.

2018 წლის 1 ნოემბრიდან - 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მივიღე 2 სხდომაში და 12 საკითხის განხილვაში (11 დადებითი შეფასება), 2019 წლის 1 აინვრიდან - დღემდე მონაწილეობა მივიღე ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 12 სხდომაში და 217 საკითხის განხილვაში (171 დადებითი შეფასება).

განხილული საკითხებიდან გამოვყობ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მიმაჩნია რომ საზიანო ჩვენი ქალაქისთვის და შესაძლოა შეიცავდეს კორუფციულ ელემენტებს.

- ქ.თბილისში, მუხიანის დასახლება IV მ/რ-ში მდებარე 35047 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მიწის ნაკვეთის მფლობელი და შესაბამისად მონაცვლეობის შესახებ განმცხადებელი იყო ბექა ოდიშარია. არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ბერძნის ქ. №39-ის მიმდებარედ (ს/კ 01.18.04.020.183) დაგეგმილი იყო სასტუმროს მშენებლობა და ტერიტორიაზე ლანდშაფტური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით მზადყოფნა გამოთქვა სამშენებლო განვითარების შესაძლებლობის მქონე სხვა ტერიტორიაში გაცვლაზე. ამ მიზნით შერჩეულ იქნა მუხიანის დასახლებაში, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული 35 047 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატებოდა ბექა ოდიშარიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (3 480 კვ.მ) ღირებულებას. ამასთან, საყურადღებოა რომ მესაკუთრეს ბერძის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთები თავის დროზე შეძენილი ჰქონდა საკმაოდ დაბალ ფასად. გაურკვეველია ის ვითარება თუ რატომ მოხდა ახალი ადმინისტრაციის პირობებში მიწის ნაკვეთის ღირებულების ხელოვნური გაზრდა მასზე მშენებლობის უფლების გაცემით თუ მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელი იყო ადგილზე ლანდშაფტის შენარჩუნება. ასევე კითხვები ჩნებოდა სამხარაულის ექსპერტიზის მხრიდან შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

მიუხედავად, ამისა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ (8 მომხრე) ხმა მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

ბექა ოდიშარია - საქართველოს პარლამენტის წევრი, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს წევრი.

- ქალაქ თბილისში, ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ/ ლევან ასათიანის ქ. N19-ის მიმდებარედ არსებული 65599 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.14.16.009.317), ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 9030 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.03.045.003), ქ. თბილისში, ბეთლების ქ. N15-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.18.03.072.064.01.500; 01.18.03.072.064.01.504; 01.18.03.072.064.01.505;) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და N01.10.06.001.021 საკადასტრო

კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 28.12.2007 წ. გაფორმებული ხელშეკრულებით N8932/1 გათვალისიწნებული, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ არსებული იპოთეკის და ვალდებულების გაუქმების თაობაზე.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს მოთხოვნის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო მათ საკუთრებაში არსებული წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის (800 კვ.მ.) (ს/კ: 01.16.06.063.007) და დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსის (32303 კვ.მ.) გაცვლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებებში: ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ/ ლევან ასათიანის ქ. N19-ის მიმდებარედ არსებული 65599 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.14.16.009.317), ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 9030 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.03.045.003), ქ. თბილისში, ბეთლების ქ. N15-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.18.03.072.064.01.500; 01.18.03.072.064.01.504; 01.18.03.072.064.01.505;)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები ჩნდებოდა როგორც სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-თან შესაძლო კორუფციულ გარიგებაზე, ასევე მოცემული მიწის ღირებულებებთან მიმართებით. ძველ თბილისსში არსებული მიწის ნაკვეთის ფასი თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა გასაცვლელი მიწის მონაცვლეობის როგორც ფასს, ასევე კვადრატულობას.

საკითხი კომისიის დღის წესრიგიდან იქნა ამოღებული - კომისის სხდომას წინ უსწრებდა ჩემი ბრიფინგი უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით „ვისოლ ჯგუფის“ სასარგებლოდ, შესაძლო კორუფციულ გარიგებასთან დაკავშირებით.

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ქ. თბილისში, ნადიკვარის ქ. N34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში ,ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.01.002.263)) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზება კერძო საკუთრებაში (შპს „არმლენდერ ასოშიეიტს (ს/ნ 204943357), 2280 კვ.მ. მიწის ნაკვეთი

(საკ/კოდი:№01.14.10.001.008), მის: ილია ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ) არსებულ მიწის ნაკვეთში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაურკვეველი იყო რატომ უცვლიდა მუნიციპალიტეტი თითქმის 12 ჰექტარ მიწის ნაკვეთს კერძო მესაკუთრეს 2280 კვ.მ. მიწის ნაკვეთში. ამ შემთხვევაში კერძო მესაკუთრეს კუს ტბის ტერიტორიაზე მშენებლობის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ხოლო გაცვლის შემდგომ მიღებული მიწის ნაკვეთები სამშენებლო გამოყენება შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, ხვალ შეიძლება ქალაქს დაუდგეს იგივე პრობლემა, რადგან არანაკლებ პრობლემურია ნადიკვრის და ოქროყანის ტერიტორიების სამშენებლო განვითარება. აღსანიშნავია ისიც, რომ განახლებული გენ. გეგმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა, რაც ამ მიწის ნაკვეთების სამომავლო ღირებულებას გაზრდის და გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე დღეს არის.

ფრაქციული საქმიანობა

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ - მ/წ 11 აპრილამდე, VI მოწვევის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ვიყავი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ 7 სხდომასა და დღის წესრიგით გათვალისწინებულ 8 საკითხის განხილვაში.

ფრაქციის სხდომებზე განხილული სხვადასხვა საკითხებიდან გამოვყობ შემდეგს:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ;
- თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში საკრებულოს უმრავლესობის შენიშვნებისა და რეკომენდაციების თბილისის მერის მოადგილეებთან განხილვა;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 დეკემბრის სხდომის პროცედურების შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.01.2019 სხდომის დღის წესრიგის საკითხების განხილვის შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის შესახებ;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სამშენებლო რეგულაციების შესახებ;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში ზონალური პარკირების შესახებ;

მ/წ 11 აპრილიდან, VI მოწვევის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემს უფლებამოსილებას ვახორციელებ დამოუკიდებელი დეპუტატის რანგში და საბურთალოს N6 ოლქის მაჟორიტარის მანდატის შესაბამისად ვაგრძელებ ჩემი ამომრჩევლებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

ინიციატივა, შეხვედრები, ბრიფინგები, პრობლემური საკითხები და სხვა აქტივობები

- ხილიანი - დოლიძის მიმდებარე ტორიტორიაზე (მდინარე ვერეს მარცხენა ფერდი) არსებული ბარაკული ტიპის განაშენიანების სამომავლო განვითარების საკითხი ჩემს პრიორიტეტულ საკითხთა შორის არის. ჩემი შუამდგობლობით 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე განვითარების გეგმის შემუშავებისთვის საჭირო თანხა (ციფრი). ამ თემაზე 2019 წლის 19 თებერვალს გავმართე ბრიფინგი - „ პრობლემური არეალების დაგეგმარების პროცესში მერიის როლი უნდა იყოს პროაქტიური და წამყვანი. მუნიციპალიტეტმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, შეიმუშავოს აღნიშნული ტერიტორიების განვითარების გეგმა, (მოამზადოს შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები), სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის, ქალაქის და ბიზნესის ინტერესების დაბალანსება. აღნიშნულ არეალში ადამიანები სიცოცხლისათვის კრიტიკულად სახიფათო პირობებში ცხოვრობენ და მათთვის ვადები ძალიან მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტის როლის პროაქტიურობა საჭიროა, რათა გონივრულ ვადებში იქნას მომზადებული და შეთავაზებული გასაგები და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

- 2019 წლის 5 მარტი - გამსახურდიას გამზირის და იყალთოს ქუჩის მიმდებარედ დაგეგმილ, მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გავმართეთ. შეხვედრაზე, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებს საშუალება ქონდათ ყველა არსებულ კითხვაზე პასუხები, მერიის შესაბამისის სამსახურების ხელმძღვანელებისგან მოესმინათ. საკითხის დეტალური განხილვის შემდეგ, დაინტერესებულ მხარეებსა და ინვესტორი კომპანიის წარმოამდგენელს შორის მოხდა შეთანხმება დამატებითი საექსპერტო დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით. მაჟორიტარის ფუნქციებიდან გამომდინარე აქტიურად გავაგრძელებ პროცესის მონიტორინგს, რადგან არაერთხელ დამიფიქსირებია, რომ მსგავსი არეალების (კერძო დასახლება) დაგეგმარების პროცესში, სწორი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მუნიციპალიტეტის როლის გაძლიერება.

- 2019 წლის 11 მარტი - ბრიფინგი - "რუსთავი 2"-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი, სადაც კომპანია „იკონია კაპიტალსის" წარმომადგენელი, სეტ ედვარტი თითქოსდა მის მიმართ

განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდა. მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ ეს არის ისეთივე ტყუილი და ბლეფი როგორი ლეგენდაცაა ამ ადამიანის ბიზნესმენობა. მე ვარ არჩეული მაჟორიტარი, ვიცავ მოსახლეობის და ჩვენი ქალაქის ინტერესებს და ამას ვაკეთებ მხოლოდ სამართლებრივი გზებით. განსხვავებით იმ ადამიანებისგან, რომლებიც რეალურად ამ საქმის უკან დგანან. ეს გახლავთ გიორგი რურუა და მისი ბიზნესპარტნიორები. გიორგი რურუა საჯაროდ აკეთებს შეურაცხმყოფელ და მუქარის შემცველ განცხადებებს ჩემს წინააღმდეგ და იქ მცხოვრები ადამიანების მისამართით. 90-იანი წლების კრიმინალები და სააკაშვილის ზონდერები კვლავ აგრძელებენ ძალადობას ადამიანებზე და ძალადობას ამ ქალაქზე. მათ სურთ, იპოდრომზე 25 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელიც ქალაქმშენებლობით და ქალაქგეგმარებით ყველა ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება. კორუფცია და კანონის გვერდის ავლა მათი სტილია. სავარაუდოდ, სამშენებლო ნებართვა, რომელიც სასამართლოს ორმა ინსტაციამ შეაჩერა, სწორედ ამ გზით მოიპოვეს. მოვუწოდებთ, ამ ჯგუფს ნუ ატყუებენ საზოგადოებას და თავი დაანებონ ადგილობრივ მცხოვრებლებზე ზეწოლას. მე ყველა კანონიერი საშუალებით დავიცავ ჩემი ამომრჩევლის და ჩვენი ქალაქის ინტერესებს“

- 2019 წლის 1 მაისი - განცხადების საფუძველზე ადგილზე შევხვდი შარტავას 35-ის მაცხოვრებლებს, რომლებიც წარმოადგენენ ამხანაგობა „გაზაფული“ - ს წევრებს. ადგილზე გავეცანი არსებულ პრობლემებს და ვიმსჯელეთ მათი მოგვარების გზებზე. ამხანაგობა შეიქმნა 2005 წელს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წამოწყების მიზნით, მაგრამ კომპანიის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ დამატებითი თანხების მობილიზებით, თავად დაასრულა კომპანიის მიერ დაწყებული მშენებლობა. სამწუხაროდ, კორპუსი დღემდე არ არის მიღებული ექსპლუატაციაში სხვა ბევრი ობიექტის მსგავსად.

მოსახლეობის მომართვის საფუძველზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთის ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზე გადმოცემის შუამდგომლობით მივმართე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს და სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-ს. საკითხთან დაკავშირებით ასევე პირადად შევხვდი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს, რომელიც წინააღმდეგი არ არის მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.13.015.116) გადასცეს მუნიციპალიტეტს ქონების შემდგომი განკარგვის მიზნით. საყურადღებოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მზად არის მითითებული ტერიტორიის გადმოცემის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტს გადასცეს კორპუსის წინა მხარეს მდებარე ამხანაგობის საკუთრებაში არსებული სკვერი.

- 2019 წლის 14 მაისი - ბრიფინგი „გარე რეკლამა თბილისის მუნიციპალიტეტში“ - ბრიფინკი ეხებოდა თბილისის მუნიციპალიტეტის გარე რეკლამის სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჩვენ ჯერ კიდევ 1 წლის წინ დავიწყეთ საკითხის მოკვლევა და რატომაც დავინტერესდით აღნიშნული საკითხით, ეს იყო უსაფრთხოების კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა. დღეს გარე რეკლამის კონსტრუქციები ქალაქში განთავსებულია ყოველგვარი სტანდარტების დარღვევით, იქნება ეს უსაფრთხოება, იერსახე თუ სხვა ქალაქგეგმარებითი პრინციპები. საკითხის დეტალური შესწავლისას, გამოიკვეთა სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც შესაძლოა

შეიცავდეს გარკვეული გარიგების და კორუფციის ნიშნებს. უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემა სათავეს იღებს, 2009 წლიდან, როდესაც “ნაციონალური მოძრაობის” მმართველობის პერიოდში, ერთგვერდიანი ხელშეკრულების საფუძველზე ფიქტიურად ორ კომპანიას, ხოლო ფაქტობრივად ერთ კომპანიას გადაეცა თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლებამოსილება.

2014-2015 წლიდან, გარე რეკლამის განთავსებაზე დგება ახალი რეალობა, როდესაც „ვისოლ ჯგუფი” ყიდულობს კომპანია “ალმას”. ალმას ხელში კი აღმოჩნდა გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლებამოსილება და ამასთან ერთად, მთლიანი ბიზნესის დაახლოებით 80%. ამ მონოპოლიურმა მდგომარეობამ პრობლემები შეუქმნა როგორც ამ სფეროში მოღვაწე სხვა ბიზნესჯგუფებს და საშუალო და მცირე ბიზნესს, ისე მუნიციპალიტეტს. გამომდინარე აქედან, ჩვენი ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და შედგა რამდენიმე შეხვედრა მერიის სხვადასხვა სამსახურების მონაწილეობით. გარკვეულ პერიოდში, თითქოს მოხდა გარკვეულ გეგმაზე შეთანხმება, რაც აისახა ჩვენს მიერ ოფიციალურად გაგზავნილ წერილში, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა და სამწუხაროდ წერილზე პასუხიც კი არ მიმიღია.

- 2019 წლის 23 ივლისი - ბრიფინგი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების მონაცვეობა, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ დიდ დიღომში მდებარე სპორტულ მოედანსა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან მდებარე სკვერში.

  თბილისის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად თბილისის მერიას გამოგზავნილი ჰქონდა დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირ შემოთავაზებული იყო დასამტკიცებლად სავარაუდო კორუფციული სქემა, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს მუნიციპალიტეტის მერიასა და ერთ კონკრეტულ ბიზნესჯგუფს შორის, რომელიც არის “ვისოლ ჯგუფი“. ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორ სარგებლობდა ეს ბიზნესჯგუფი “ნაციონალური მოძრაობის“ დროს პრივილეგიებით და პრეფერენციებით. ის იყო სალარო და “შავი ფულის“ გამტარი. მერია საკრებულოს სთავაზობს დაამტკიცოს დადგენილების პროექტი, რომელიც გულისხმობს ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე სკვერისა და დიდ დიღომში არსებული სტადიონის დათმობის ნაცვლად, “ვისოლ ჯგუფს“ თბილისელებმა გადაუფორმონ მიწის ნაკვეთი 7 ჰექტარის მოცულობით ლისის ტბაზე, ბეთლემის ქუჩაზე 3-სართულიანი კაპიტალური შენობა და დიღმის მასივში 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი თავისი შენობა-ნაგებობებით. ეს არის ის ფასი, რასაც მერია დღეს გვთავაზობს, რომ “ვისოლ ჯგუფისთვის“ სკვერის გადმოცემის სანაცვლოდ ჩვენ გადავიხადოთ. აღსანიშნავია, რომ “ვისოლ ჯგუფი“ მის საკუთრებაში არსებულ ვერც ერთ მიწის ნაკვეთს სამშენებლოდ ვერ გამოიყენებდა, ეს არის შავი, უპერსპექტივო აქტივი, რომელსაც მერია უთეთრებს ათეულობით მილიონ დოლარში“

- 2019 წლის 17 სექტემბერი - ურბანული დაგეგმარებისა და ქალაქ მშენებლობის კომისიის თავმჯდომარესთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთან ერთად მ.კოსტავას ქუჩა N63-ის მაცხოვრებლებთან შეხვედრა.

- 2019 წლის 1 ნოემბერი - ქვეყანაში მოდებულია მომაკვდინებელი სენი აზარტული თამაშების სახით. უპრეცედენტოდ გაზრდილია ხელმისაწვდომობა და

პოპულარიზაცია. ხელისუფლების სხვადასხვა შტოები არათუ ხელს უშლიან, არამედ საკუთარი კორუფციული მიზნებიდან გამომდინარე ხელს უწყობენ აღნიშნულ ინდუსტრიას. მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე თბილისი სიცოცხლით სავსე ქალაქის ნაცვლად გადაიქცა „ბეთების“ ქალაქად.ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანებს ხვდებათ შეთავაზებები 1 წუთში ცხოვრების აწყობის შესახებ, რეალურად კი ეს არის კარიბჭე მდგომარეობის გაუარესებისკენ. მოვითხოვთ ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის და კანონპროექტის მიღებას, რომელიც აკრძალავს რეკლამირებას.

აქცია მთავრობის კანცელარიასთან - აზარტულ თამაშებზე უპრეცედენტოდ გაზრდილი ხელმისაწვდომობისა და ამ მომაკვდინებელი სენის პროპაგანდის წინააღმდეგ

საბურთალოს მე-6 საარჩევნო ოლქის მოსახლეობასთან კომუნიკაცია

VI მოწვევის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების მიღებიდან მაქვს აქტიური კომუნიკაცია ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობასთან. ვხვდები მოქალაქეებს თბილისის საკრებულოში, წარმომადგენლობის ოფისში და წარმომადგენლობის ორგანიზებით ვახორციელებ ადგილზე ვიზიტებს კონკრეტულ მისამართებზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობის ოფისში შევხვდი 250-მდე, საკრებულოში - 200-ზე მეტს, ხოლო გასვლითი ვიზიტებისა და ინდივიდუალურად ადგილზე ვიზიტის ფარგლებში - 800-მდე მოქალაქეს; ჩემს სახელზე შემოვიდა 99 წერილი, წერილობით გაკეთდა 96 შუამდგომლობა, რამდენიმე საკითხი შესწავლის პროცესშია, გარდა ამისა მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ვახორციელებ ზეპირ შუამდგომლობებს და შეხვედრების უზრუნველყოფას სხვადასხვა ორგანიზაციებთან და თანამდებობის პირებთან.





მოსახლეობასთან ვიზიტები და შეხვედრები შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ მოსახლეობაში არსებული პრობლემური და აქტუალური საკითხები, რის შემდგომაც შევიმუშავებთ მათი აღმოფხვრისა და გადაწყვეტის გზებს.

მოსახლეობის პრობლემები ყოველთვის არ განეკუთვნება თვითმმართველობის კომპეტენციას, ჩემი ფუნქციებიდან გამომდინარე ვარ შუამავალი მოქალაქესა და სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რომელთანაც საჭიროებიდან გამომდინარე ვუწევთ კონსულტაციებს, ვუზრუნველყოფთ შეხვედრის ორგანიზებას და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემების მოგვარებას.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მოსახლეობას ვაწვდით კონკრეტულ მისამართზე დაგეგმილი და მიმდინარე სამუშაოების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, რათა მოხდეს მათი მოსაზრებებისა და ინტერესების გათვალისწინება სხვადასხვა პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების ეტაპებზე.

საბურთალოს მე-6 ოლქის ინფრასტრუქტურული საკითხები

ჩემთვის მთავარი ამოცანა პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა და მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ბიუჯეტის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობაა, გამომდინარე იქიდან, რომ ბიუჯეტი ამოწურვადი რესურსია და ვერ ხერხდება ერთწლიან ჭრილში ყველა პრობლემის გადაჭრ, შესამაბისად ვცდილობთ პრიორიტეტების სწორად შერჩევას რათა ბიუჯეტი სხვადასხვა მიმართულებით თანაბრად გადანაწილდეს ოლქის მთელს ტერიტორიაზე და თითოეულმა მაცხოვრებელმა მიიღოს გარკვეული სიკეთე.

საბურთალოს მე-6 ოლქის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები

ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პირობების გაუმჯობესება. აღნიშნული პრობლემით მომართვიანობა ჩემს წარმომადგენლობაშისაკმაოდ მაღალია. მოქალაქეებს ყოველდღიურად ვუწევთ შუამდგომლობას, როგორც საბურთალოს რაიონის გამგეობაში, ასევე თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიასა და სოციალური მომსახურების სააგენტოში. იყო რამოდენიმე შემთხვევა როდესაც სხვადასხვა პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ზღვარი ამოიწურა, მაგრამ მოქალაქე ვერ ახერხებდა დარჩენილი თანხის საკუთარი სახსრებით მობილიზებას, ჩვენი შუამდგომლობით მერის სარეზერვო ფონდიდან სრულად დაფინანსდა შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. აღსანიშნავია საბურთალოს რაიონში არსებული განსაკუთრებული სიმწვავე სოციალურად დაუცველი ოჯახებისა, რომელთაც სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების, თუ მედიკამენტების დაფინანსების შუამდგომლობების გარდა გაეწიათ შუამდგომლობა სოციალური სტატუსის გადასინჯვისა და გადახედვის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

მაჟორიტარული სისტემით არჩეული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის მიზნების, ფუნქციების, ორგანიზების, საქმიანობის წესისა და საკრებულოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განკარგვის წესში 2017 წლის ბოლოს შესულმა ცვლილებებმა უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი გახადა მაჟორიტარებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაცია. აღნიშნული ცვლილებები შეეხო წარმომადგენლობის ფუნქციებსაც, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრის ორგანიზებას, მოქალაქეთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, საკითხის ირგვლივ სათანადო დასკვნების მომზადებას და მაჟორიტარი წევრისთვის წარდგენას, ოლქის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავებას შესაბამის რაიონის გამგეობასთან და მერიის საქალაქო სამსახურებთან კოორდინაციაში, ყოველი წლის ბოლოს აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენას საკრებულოს წინაშე და ა.შ.

ზოგადად წარმომადგენლობის მიზანი და ძირითადი ამოცანებია მოსახლეობისთვის საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან კომუნიკაციის ხელმისაწვდომი პლატფორმის

არსებობა, ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება, ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მაჟორიტარი საკრებულოს წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა. სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე მუშაობს ჩემი წარმომადგენლობა და ასრულებს შუამავლის როლს მოსახლეობასა და სხვადასხვა ადგილობრივ თუ ცენტრალურ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის.

წარმომადგენლობაში ხორციელდება მოქალაქეთა მიღება, შემოსული ზეპირი ან/და წერილობითი განცხადებების ანალიზი, პრობლემების კლასიფიკაცია და შესაბამისი ინფორმაციის მაჟორიტარისთვის მოწოდება პრობლემის მოგვარების სავარაუდო გზებთან ერთად. გარდა ყოველდღიური რუტინული საკითხებისა, წარმომადგენლობა ამზადებს ყოველკვირეულ რაპორტს (მოხსენებას) არსებული გამოწვევების შესახებ.

საბურთალოს რაიონში არსებული არაერთი ინფრასტრუქტურული, ურბანული (გრეკების დასახლება, აკურის და ალმასიანის ქუჩა და ა.შ), სატრანსპორტო თუ სოციალური პრობლემების უფრო ეფექტურად მოგვარების მიზნით წარმომადგენლობას შემუშავებული აქვს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკა.

ჩვენს ოლქში საქმიანობის საორიენტაციოდ, ასევე შემუშავებულ იქნა ე.წ. „უბნის პასპორტი“, რომელშიც თავმოყრილია საბურთალოს რაიონის მე-6 საარჩევნო ოლქში არსებული საჯარო/კერძო ბაგა-ბაღები და სკოლები; სპორტული და ხელოვნების სკოლები; ადმინისტრაციული შენობები; სამედიცინო დაწესებულებები; ეკლესიები; პოლიციის შენობები; კერძო/სამეწარმეო კომპანიები; ბიბლიოთეკები; უნივერსიტეტები და სხა დანიშნულების მქონე ინფორმაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ვახტანგ შაქარიშვილის წარმოდგენლობამ საქმიანობა დაიწყო 2018 წლის 20 თებერვლიდან და მის წევრებზე, წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარე გადანაწილებულია ფუნქციები და მოვალეობები სხვადასხვა მიმართულებით: წარმომადგენლობის კოორდინირება, საქმიანობის კონტროლი; მოქალაქეთა მიღება/აღრიცხვა; პრობლემების გამოვლენა/ დამუშავება/კლასიფიკაცია; საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი

ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია/ურთიერთობა, ინფორმაციის გამოთხოვა - დამუშავება - მიწოდება; მაჟორიტარისა და წარმომადგენლობის საქმიანობის, აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებით საზოგადოების ინფორმირებულობა, სოციალურ ქსელებში სიახლეების გავრცელება, მონიტორინგი, მედია საშუალებებთან ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობების წარმოება.

წარმომადგენლობის საქმიანობა ხელს უწყობს მაჟორიტარისა და მე-6 საარჩევნო ოლქის მოსახლეობის კომუნიკაციას. წარმომადგენლობის ოფისში ან/და საკრებულოში მოქალაქეთა მიღება ხდება, როგორც ორგანიზებული შეხვედრების ფარგლებში, ასევე მოქალაქეების მოთხოვნისა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ფორმატში კვირის ნებისმიერ დღეს. წარმომადგენლობის წევრების ორგანიზებით არასამუშაო დღეებში ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ვეცნობი არსებულ პრობლემებს.

მოქალაქეთა მიღების პარალელურად ხორციელდება მათი აღრიცხვა პრობლემებისა და საჭიროებების მითითებით, რის შემდგომაც ხდება პრობლემების კლასიფიკაცია და ინფორმაციის მოწოდება. ასევე მოქალაქეებთან ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაცია/კონსულტაცია, რის შემდგომაც ხდება საკითხების გადაჭრა ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის დასაზუსტებლად და პრობლემის არსში გასარკვევად დამატებით ხორციელდება მათთან შეხვედრა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობის ოფისში მიღებულ იქნა 300-მდე მოქალაქე; გასვლითი შეხვედრების ფარგელბში კომუნიკაცია განხორციელდა 1400-მდე მოქალაქესთან, აქედან 200ზე მეტ მოქალაქესთან განხორციელდა ინდივიდუალური ვიზიტი; წარმომადგენლობის ორგანიზებით მაჟორიტარი შეხვდა 1500-მდე მოქალაქეს; წარმომადგენლობის თანამშრომლებთან და მათ მიერ ყოველდღიურად ხორციელდება

მოქალაქეებთან სატელეფონო კომუნიკაციები და საკითხებიდან გამომდინარე იგეგმება შესაბამისი აქტივობები.

მომავალი სამოქმედო გეგმა

დასახული მიზნებიდან გამომდინარე აქტიურად განვაგრძობ მოსახლეობასთან კომუნიკაციას და ყველა დონეზე მათი ინტერესების ლობირებას. 2020 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ვიშუამდგომლე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საბურთალოს რაიონის გამგეობასთან, რათა მაქსიმალურად გათვალისწინულ იქნას მოსახლეობის ინტერესები. ხილიანის ქუჩის სრული რეაბილიტაციის შემდეგ, ჩემი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია დოლიძის ქუჩის მოწესრიგება, იქ არსებული კომუნიკაციიების, ტროტუარების და სამანქანე გზის განახლება. სამწუხაროდ მერიის მიერ გამოგზავნილ 2020 წლის ბიუჯეტში არ არის ასახული პროექტისთვის საჭირო თანხები, მიუხედავად იმისა რომ ჩემი შუამდგომლობით გასულ წელს მერიამ შეისყიდა პროექტის მომზადების მომსახურება. აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობითი შუამდგომლობით მივმართე მერიის შესაბამის სამსახურებს.

2020 წლის ცენტრალურ ბიუჯეტში პრიორიტეტული მიმართულებაა ჯარისკაცებისთვის, პოლიციელებისთვის, მასწავლებლებისთვის და სხვა სახელმწიფო სამსახურში მდგომი ადამიანების ღირსეული შრომის ანაზღაურებით უზრუნველყოფის საკითხი. მუნიციპალიტეტსაც ჰყავს საკუთარი „ჯარისკაცები“, როგორებიც არიან საბავშვო ბაღებში დასაქმებული ადამიანები, რომლებიც ჩვენი შვილების აღზრდაზე ფაქტობრივად უანგაროდ შრომობენ. „თბილსერვისის“ მეეზოვეები, „ეკოსერვისის“ მებაღეები, სამწუხაროა რომ მიუხედავად მერიასა და საკრებულოს შორის მიღწეული შეთანხმებისა, 2020 წლიდან მომხდარიყო საბავშვო ბაღებში ხელფასების ზრდა, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ხელფასების ზრდა არ არის გათვალისწინებული. განსაკუთრებით იმ ფონზე როდესაც მერიის სარეკლამო ხარჯები გაზრდილია (რომელიც

ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური პერსონების პოპულარიზაციას ხმარდება). მიმაჩნია, რომ სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად, როგორიც არის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ჯანდაცვა და სოციალური ზრუნვა, ამ ადამიანებისათვის ღირსებული შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფა უნდა იყოს მერიის მთავარ პრიორიტეტებს შორის.

რაც შეეხება ჩემს სამაჟორიტარო ოლქს, რაიონული გამგეობის ნაწილში დიდწილად ასახულია ჩემი რეკომენდაციები გამგეობის მიერ პრიორიტეტად დასახულ სხვა პროექტებთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ წლიური ანგარიშის ფორმატიდან გამომდინარე ანგარიშში არ არის აღწერილი ყველა ის აქტივობა თუ ღონისძიება, რომელიც ჩემს მიერ იქნა განხორციელებული საანგარიშო პერიოდში. საჭიროების შემთხვევაში მზად ვარ თითოეულ დაინტერესებულ პირს მივაწოდო ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც ანგარიშში არ არის ასახული.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2019 წლის 1 იანვრიდან - 26 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდს.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

საბურთალოს N6 ოლქის მაჟორიტარი

ვახტანგ შაქარიშვილი